

დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს  
და  
დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის

მოსაზრებები

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ  
კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საკანონმდებლო პაკეტთან  
დაკავშირებით 07-3/265/10<sup>1</sup>

კონტექსტი

საკანონმდებლო პაკეტის შეფასებისას მთავარია, რამდენად და რა ხარისხით ასრულებს ის ევროკომისიის რეკომენდაციას. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების ინიცირების მიზანია „ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით გათვალისწინებული ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანის შესრულების მიზნით ცვლილებების შეტანა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში.“ აღნიშნული პრიორიტეტული ამოცანა, სასამართლო სისტემის კონტექსტში, გულისხმობს: გამჭვირვალე და ეფექტური სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება-განხორციელებას; სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას; მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმის განხორციელებას და უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნას.<sup>2</sup>

ხსენებული მიზნის საპასუხოდ, კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის არსი არის: ა. ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის წესის დადგენა 2019 წლის 7 ივნისის 1/4/693857 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეზე ააიპ მედიის განვითარების ფონდი და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; ბ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის პროცედურაში

<sup>1</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/25094>

<sup>2</sup> რამოდენიმე კანონპროექტს არ აქვს დამოუკიდებელი შინაარსი და მათი შემუშავება განპირობებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებით. ამ კანონპროექტის ტექსტის დიდი ნაწილიც შინაარსობრივად არაფერს ცვლის და უფრო ტექნიკური ხასიათი აქვს (სრულყოფა სტრუქტურული და საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ პაკეტში შემავალი კანონპროექტებით შემოთავაზებულ ძირითად სიახლეებზე.

მიკერძოებული წევრის მონაწილეობის დაუშვებლობა; გ. საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად დადგენილი ზოგიერთი წესის გავრცელება; დ. იუსტიციის საბჭოს წევრობის კანდიდატის მიერ მოსამართლეთა კონფერენციისთვის ხედვის წარდგენის უფლებამოსილების მინიჭება; ე. გარკვეული ნორმების დახვეწა, გაუმჯობესება, დაზუსტება.

კანონპროექტი არ პასუხობს ევროკომისიის პრიორიტეტული ამოცანით გათვალისწინებული ყოვლისმომცველი სასამართლო რეფორმის გატარების პირობას, არ ითვალისწინებს ვენეციის კომისიისა და ეუთო ოდირის რეკომენდაციებს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების გაზრდის შესახებ. კანონპროექტი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტული საკანონმდებლო ცვლილებებით შემოიფარგლება.

## თავი I

### კანონპროექტის შეფასება სასამართლო გადაწყვეტილების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემასთან დაკავშირებით

კანონპროექტით კანონს ემატება I<sup>1</sup> თავი „სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა.“ ახალი თავი მოიცავს 13<sup>3</sup> – 13<sup>5</sup> მუხლებს, რომელიც არეგულირებს სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში. განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული ცვლილების მიზანია კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.<sup>3</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხზე იმსჯელა მას შემდეგ, რაც საერთო სასამართლოებმა შეზღუდეს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და გაცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პარლამენტს მიეცა ვადა 2020 წლის პირველ მაისამდე კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად, მაგრამ მან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება გააჭიანურა და დღემდე არ შეუსრულებია. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უფლებებს შორის ბალანსის დადგენის წესით არ იხელმძღვანელებს საერთო სასამართლოებმა და ვერ დაამკვიდრეს გადაწყვეტილებათა გაცემის სათანადო პრაქტიკა. შედეგად, 2019 წლიდან

<sup>3</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილებასთან საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ინგლისურ ენაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე შეჯამება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე [https://www.constcourt.ge/en/judicial-acts?legal=1268&fbclid=IwAR1wQILB\\_QSyIjnRct5yII6836FvCyTkQUavyClBziE10inYcqx1zC1rrr4](https://www.constcourt.ge/en/judicial-acts?legal=1268&fbclid=IwAR1wQILB_QSyIjnRct5yII6836FvCyTkQUavyClBziE10inYcqx1zC1rrr4)

დღემდე საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია.<sup>4</sup>

ზოგადი შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- კანონპროექტი არ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნას შემოღებულ იქნას მოქნილი მექანიზმი სასამართლო აქტებზე საზოგადოების დროული წვდომის გამარტივებისთვის.<sup>5</sup>
- კანონპროექტით შემოთავაზებულია სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემის ისეთი სქემა, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილებების დაგვიანებით გაცემაზე.
- კანონპროექტით შემოთავაზებულია სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემის ისეთი სქემა, რომელიც ისედაც გადატვირთულ სასამართლოებს უფრო გადატვირთავს. აღნიშნული აჩენს მოლოდინს, რომ სასამართლოები ვერ მოახერხებენ გადაწყვეტილებათა გაცემის კანონპროექტით გათვალისწინებული ხანგრძლივი ვადების დაცვასაც კი.
- კანონპროექტი სრულყოფილად არ ასახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილ საჯაროობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის ბალანსის პრინციპებს,<sup>6</sup> რაც საჭიროა არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის და შერჩევითი მიდგომების თავიდან ასაცილებლად.

კანონპროექტის უდიდესი ნაწილი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას, თუმცა შეიცავს რიგ მნიშვნელოვან ხარვეზებს:

### 1. კანონპროექტით ცვლილებები არ შედის სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების წესში.

კანონპროექტით ცვლილება არ შედის სასამართლო აქტის ტექსტის პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხზე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის მოქმედი რედაქცია არეგულირებს: „ღია სხდომაზე საქამის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებ-გვერდზე... სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად.“ სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტის პროაქტიულად გამოქვეყნების მარეგულირებელი ნორმის (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტი) უცვლელად დატოვება იწვევს სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების აქამდე არსებული წესის ბუნდოვანებას და სრულიად უცნობია, ცვლილებების მიღების შემდეგ როგორ განვითარდება სასამართლო გადაწყვეტილებების

<sup>4</sup> მაგალითად, დამოკიდებული იურისტების ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ უარი თქვა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბრალდების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჯაროებაზე მისი პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით. უარი გასაჩივრებულ იქნა საერთო სასამართლოებში, სადაც მოთხოვნა ასევე არ დაკმაყოფილდა.

<sup>5</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პარაგრაფი 67.

<sup>6</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების 55-ე, ასევე, 69-ე პუნქტებში მითითებული ბალანსის სტანდარტი შესაძლებელია გადატანილ იქნას კანონპროექტში.

პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა, როგორ გამოქვეყნდება დამტრიხული ან დაუტრიხავი სახით სასამართლო გადაწყვეტილებები, რა წესი გავრცელდება პროაქტიულ გამოქვეყნებაზე.

მოქმედი კანონის ზემოხსენებული მე-13 მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის არსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში სასამართლოები 2020 წლის მაისიდან აღარ აქვეყნებენ სასამართლო გადაწყვეტილებებს არც დაუტრიხავი და არც დამტრიხული სახით (გარდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, რომლებიც დამტრიხული სახით ქვეყნდება სასამართლოს ვებ-გვერდზე). ვინაიდან ცვლილება არ შეხებია აღნიშნულ მუხლს, უცნობია სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხი პრაქტიკაში როგორ სახეს მიიღებს, გავრცელდება თუ არა მასზე მონაცემთა დეპერსონალიზაციის წესი.

**2. კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობასთან, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას უკავშირებს.**

კანონპროექტის მიხედვით (მე-13<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტი), სასამართლო გადაწყვეტილების გაცემა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა კანონიერ ძალაში შევა ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმე განხილული იქნება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ და კანონიერ ძალაში შევა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ან გავა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.

მაგალითად 1. შემოთავაზებული რეგულირებით, ყველაზე დიდი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერის, ნიკა მელიასთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ 2021 წლის თებერვლის სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი გახდებოდა მხოლოდ ამ საქმეზე გამოძიების, ასევე, საქმის სამივე ინსტანციის სასამართლოში არსებითად განხილვის დასრულების და საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

მაგალითი 2. შემოთავაზებული რეგულირებით, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ტელეკომპანია ტვ პირველის შენობაში ჩხრეკა-ამოღების საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება ხელმისაწვდომი გახდებოდა მხოლოდ ამ საქმის სამივე ინსტანციის სასამართლოში არსებითად განხილვის დასრულების და საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული ჩხრეკა-ამოღების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინება მოსამართლის მიერ მიღებული იყო 2021 წლის მარტში. საქმეზე, რომლის გამოძიების მიზნითაც ტელევიზიაში ჩატარდა ჩხრეკა-ამოღება, დღემდე არ არის გამოძიებული.

კანონპროექტით შემოთავაზებული, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობასთან, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის ინტერესები: სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის განხორციელება დემოკრატიულ საზოგადოებაში; სასამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია და

საზოგადოების ნდობა. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაზე ხელმისაწვდომობას არ უკავშირებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეიძლება წარმოიშვას საჯარო ინფორმაციის მიღების აღმატებული (და ზოგიერთ შემთხვევაში, გადაუდებელი) ინტერესი. დაინტერესებული პირი იძულებული გახდება დაელოდოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლას, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს. ასეთი შეყოვნებით საჯარო ინფორმაციის მიღებას გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება აზრი და აქტუალობა დაეკარგოს. საბოლოოდ, შეფერხდება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებისა და სასამართლო სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება.

### **3. კანონპროექტი ბლანკეტურად გამორიცხავს დახურულ სხდომაზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობას.**

კანონპროექტით გათვალისწინებული წესი (მე-13<sup>3</sup> მუხლის მე-3 პუნქტი) მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სხდომის შესაბამისი ნაწილის ან სრულად დახურვის თაობაზე. ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც დაინტერესებულ, ინფორმირებულ და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პირს არ აქვს მის შესახებ არსებული ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვის ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ღია სასამართლო სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტი თავის თავში მოიცავს პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით დახურულ სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობასაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თუ პირს არ აქვს საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი, ამ დროს არ არსებობს სასამართლოს აქტებში ასახული მისი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობა.<sup>7</sup>

განსაზღვრულობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა დაკონკრეტებასაც საჭიროებს, რადგანაც სხდომის ნაწილის დახურვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სასამართლო აქტის იმ ნაწილზე, რომელიც დახურულ სხდომაზე განხილულ კონფიდენციალურ საკითხებს არ ასახავს.

### **4. კანონპროექტი სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილებების გაცემას უშვებს მხოლოდ საქმეზე ბოლო სასამართლო აქტის მიღების შემდეგ.**

შეუსაბამოდ გაჭიანურებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონპროექტი (კანონპროექტის მე-13<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტი) სასამართლოს ისეთი შუალედურ გადაწყვეტილებების გაცემისთვის, რაც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემს ან/და ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან, ოჯახურ ცხოვრებასთან ან სხვა პირად საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამასთან, კანონპროექტის (მე-13<sup>5</sup> მუხლის მე-2 პუნქტი) მიხედვით, საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო აქტის დეპერსონალიზაციის საკითხი გადაწყდება ამ საქმეზე ბოლო სასამართლო

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

აქტის მიღებასთან ერთად. სასამართლოს შუალედურ გადაწყვეტილებებზე დროული ხელმისაწვდომობა შეიძლება იყოს და პრაქტიკაში არაერთხელ გამხდარა ლეგიტიმური ინტერესის საგანი, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სასამართლო სისტემის მონიტორინგის განხორციელებისას (სასამართლოს განჩინება ტვ პირველის ოფისში ჩხრეკა-ამოღების ჩატარების შესახებ; ილიჩოვა მელაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი და სხვა).

**5. კანონპროექტით 2023 წლამდე მიღებული არცერთი სასამართლო გადაწყვეტილება, არც დაშტრიხული და არც დაუშტრიხავი ფორმით, არ გაიცემა 2025 წლის 1 მაისამდე.**

შეუსაბამოდ გაჭიანურებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონპროექტი (მე-13<sup>4</sup> მუხლის მე-2, მე-3 პუნქტები) 2023 წლის 1 მაისამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისთვის. კერძოდ, დგინდება ერთი წლის ვადა (2024 წლის 1 მაისამდე) იმისთვის, რომ საკუთარი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისგან დაცვის მსურველმა პირებმა მიმართონ სასამართლოებს ასეთი მოთხოვნით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ 1 წლის განმავლობაში (2025 წლის 1 მაისამდე) სასამართლოები განიხილავენ დაინტერესებული პირების მიმართვებს და იღებენ გადაწყვეტილებებს თითოეულ საქმეზე პერსონალური მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ დაშტრიხვის შესახებ. ის გადაწყვეტილებები, რომლებზეც დაინტერესებულ პირებს არ მიუმართავთ პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნით, ექვემდებარება გასაჯაროვებას დაშტრიხვის გარეშე 2025 წლის 1 მაისიდან.

გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ 2017-2020 წლების განმავლობაში საქართველოს სასამართლოების მიერ სულ მიღებულია 369 630 საბოლოო გადაწყვეტილება.

აღნიშნული პროცედურების ჩატარებამდე, კანონპროექტი (მე-13<sup>4</sup> მუხლის მე-8 პუნქტი) დაუშვებლად აცხადებს 2023 წლის 1 მაისამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემა.

ცვლილების შინაარსიდან გამომდინარე, 2023 წლის 1 მაისამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არცერთი ფორმით არ იქნება ხელმისაწვდომი 2025 წლის 1 მაისამდე. გასათვალისწინებელია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვით სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემის წესის არარსებობის გამო საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა 2020 წლის მაისიდან მკვეთრად შეზღუდულია. ამასთან ერთად, ამ წესით ხელმისაწვდომი არ იქნება ის აქტებიც, რომლებში ასახულ ინფორმაციის გაცემისაგან დაცვას არავინ ითხოვს და შესაბამისად, არც ამის აუცილებლობა არსებობს.

**6. 2023 წლის 1 მაისის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისთვის კანონპროექტი ითვალისწინებს შეუსაბამოდ გაჭიანურებულ პროცედურებს.**

რაც შეეხება 2023 წლის 1 მაისის შემდეგ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემას, კანონპროექტის მიხედვით აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი მოსამართლე ამ საქმეზე ბოლო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად.

გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლე არკვევს პირის ნებას მის შესახებ პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხზე.

შეუსაბამოდ გაჭიანურებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონპროექტის ჩანაწერი პირის ნების შემოწმების შესახებ (მე-13<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტი). მაგალითად, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა პირმა ნება წერილობითი მიმართვით უნდა დააფიქსიროს, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს საქმის განხილვის დასრულების ვადაზე ნაკლები, მაშინ როცა შესაძლებელია სხდომაზე გამოცხადებული პირის ნება იქვე საოქმო ჩანაწერით დაფიქსირდეს. ასევე სხვა პროცედურები, რომლების უსაფუძვლოდ აჭიანურების ნების შემოწმებას.

შეუსაბამოდ გაჭიანურებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონპროექტის ჩანაწერი (მე-13<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტი), რომლის თანახმადაც მოსამართლის განჩინება საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო აქტის გაცემის საკითხზე ძალაში შედის ამ განჩინების გამოტანიდან 1 წლის გასვლისთანავე (თუ პირი უარს ამბობს სასამართლო აქტში მის შესახებ ასახული/ასასახი ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე). ალოგიკურია ასეთი ხანგრძლივი ვადით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა იმ შემთხვევისათვის, თუ პირი განჩინებას არ ასაჩივრებს, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შეიძლება წარმოიშვას ინფორმაციის მიღების გადაუდებელი და აღმატებული ინტერესი. ასევე გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შევიდეს განჩინება ძალაში, თუ ის გაასაჩივრეს, მაგრამ ზემდგომმა ინსტანციამ ძალაში დატოვა, ანუ დაადასტურა სასამართლო აქტზე ხელმისაწვდომობის ინტერესის პრიორიტეტი.

შეუსაბამოდ გაჭიანურებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონპროექტი იმ გადაწყვეტილებების გასაცემად, რომელთა მიმართ არ არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძველი. კერძოდ, მაშინაც კი, როცა პირმა გამოთქვა თავისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებაზე თანხმობა, კანონპროექტი კვლავ ავალდებულებს მოსამართლეს განიხილოს აღნიშნული საკითხი და მიიღოს განჩინება საქმის განხილვის დასრულების დროს (მე-13<sup>5</sup> მუხლის მე-3 პუნქტი). აღნიშნული გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირმა გამოთქვა თავისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ნება, ასეთი შუალედური გადაწყვეტილებები არ გახდება ხელმისაწვდომი საქმის განხილვის დასრულებამდე, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება არ გახდება ხელმისაწვდომი კანონიერ ძალაში შესვლამდე.

კანონპროექტით (მე-13<sup>5</sup> მუხლის მე-6 პუნქტი) სასამართლო აქტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემასთან დაკავშირებით მოსამართლის განჩინების გასაჩივრება მისი ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება ნებისმიერ დროს, მაგრამ 2 კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ. ახალი გარემოების გამოვლენის გარეშე ხელახლა, მრავალჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობის შემოღება რამდენიმე თვალსაზრისითაა პრობლემატური:

- ის ეწინააღმდეგება სამართლებრივი უსაფრთხოების, კერძოდ კი - სასამართლო აქტების სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპს.
- კანონპროექტი არ მიუთითებს გარემოებაზე, რომლის საფუძველზეც დასაშვები იქნებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა.

სიტუაციას არ ცვლის საჩივრის შეტანის პერიოდულობის დადგენაც, რომელიც ძალიან ბუნდოვანია. ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საჩივრის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, 2 წლის შემდეგ შესაძლებელია ახალი საჩივრის შეტანა.

- გაურკვეველია, მომჩივანზე მიმართული შეზღუდვა თუ განჩინებაზე, ანუ ერთსა და იმავე მომჩივანს შეუძლია გაასაჩივროს განჩინება 2 წლის განმავლობაში ერთხელ, თუ ერთი და იგივე განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს 2 წლის განმავლობაში ერთხელ.

## თავი II

### კანონპროექტის სხვა მუხლების შეფასება

#### იუსტიციის საბჭოს წევრის ჩამოცილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცესიდან

აღნიშნული ნოვაცია პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს იმ კუთხით, რომ კანდიდატის შერჩევის პროცესიდან გამორიცხავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც მიკერძოებული იყო, მისი მიდგომა დისკრიმინაციული იყო ან/და გადაამეტა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. თუმცა, კანონპროექტი ღიად ტოვებს საკითხს, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის/წევრების შერჩევის პროცესიდან ჩამოცილების შედეგად საბჭოში შეიქმნება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ქვორუმის პრობლემა. ასევე, ბუნდოვანი კატეგორიაა და შერჩევითი მიდგომის ფართო შესაძლებლობას იძლევა „სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის საფრთხის შექმნის“ კრიტერიუმი.

#### რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების წესის ცვლილება

კანონპროექტით დგინდება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეს დანიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისათვის დადგენილი წესით. რთულად წარმოსადგენია, რომ ამ ნაბიჯით გარდამტეხი ძვრები მოხდეს პირველ და სააპელაციო ინსტანციაში მოსამართლეთა კორპუსის კვალიფიციურობის თუ კეთილსინდისიერების გაზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მოქმედი წესით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა/დანიშვნის პრაქტიკა უკვე არაერთხელ ძალიან მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, მათ შორის ეუთო/ოდირის მონიტორინგის ანგარიშით.<sup>8</sup> მოქმედი კანონით დადგენილი მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმები არ აკმაყოფილებს „ობიექტური კრიტერიუმის“ ევროპულ სტანდარტს. ამასთან, მნიშვნელოვანია, თუ ვინ და რა წესით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დანიშვნის შესახებ. არსებული მოდელი იძლევა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესაძლებლობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრების ჩართულობის გარეშე. აუცილებელია ისეთი მოდელის

<sup>8</sup> <https://www.osce.org/odihr/496270>



შემუშავება, რაც გამორიცხავდა მოსამართლეთა განწესებას ფაქტობრივად შიდაკორპორაციული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ კუთხით კანონპროექტი არ ითვალისწინებს ეუთო/ოდირის კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებას.<sup>9</sup>

**საბჭოს წევრობის კანდიდატის მიმართვა მოსამართლეთა კონფერენციისათვის**  
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის არჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი უფლებამოსილი იქნება, კენჭისყრამდე მიმართოს მოსამართლეთა კონფერენციას და წარუდგინოს თავისი ხედვა და მოსაზრება საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში მის მიერ უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კანდიდატებისათვის ამ შესაძლებლობის მიცემა პოზიტიური, მაგრამ უკიდურესად უმნიშვნელო ნაბიჯია იმისათვის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმის ნაწილად ჩაითვალოს. კანდიდატებს ასეთი სურვილის შემთხვევაში აქამდეც შეეძლოთ კონფერენციისთვის მიმართვა და პრაქტიკაში ამის პრეცედენტიც არსებობს. პრობლემად რჩება ის, რომ აღნიშნული წესი არ ითვალისწინებს მისი განხორციელების სათანადო პროცედურას.

საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის წესი უნდა უზრუნველყოფდეს მოსამართლეთა მრავალფეროვანი კორპუსის ფართო ჩართულობას მის საქმიანობაში, საბჭოს შემადგენლობის საფუძვლიან როტაციას და იმ მოსამართლეების გავლენების შემცირებას, რომლებიც ადმინისტრაციული და არა სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებით არიან დაკავებული. ამის საპირისპიროდ, კანონპროექტის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი კვლავ ითვალისწინებს თავმჯდომარის/მოადგილის პოზიციის მქონე მოსამართლეებისთვის ცალკე, ნაკლებ კონკურენტული პროცედურით არჩევის წესს.

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების მოსმენა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საჯარო სხდომაზე**  
ეს საკითხი არ არის სიახლე და ხდება არსებული პრაქტიკის ასახვა პარლამენტის რეგლამენტში. მართალია, ნორმატიულ დონეზე აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრება დადებითი ნაბიჯია, თუმცა ვერ ჩაითვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

**რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცედურაში მონაწილე პირის მიერ დეკლარაციის წარდგენა**  
მისასალმებელია, რომ ფართოვდება თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციის წარმდგენი სუბიექტების წრე და საზოგადოება უფრო ინფორმირებული იქნება რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეობის მსურველი პირების ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ესეც არ არის ისეთი ცვლილება, რაც

<sup>9</sup> მოსამართლეთა შერჩევის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ჩართვა; მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის სრულ შესაბამისობაში მოყვანა ეუთოს რეკომენდაციებთან; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით და სხვა რეკომენდაციები. <https://www.osce.org/files/f/documents/4/b/496261.pdf?fbclid=IwAR3PTHwylqYQXRRlAbnsJr9Ctdvfb2h9H5LjLcZ2ePBf5ntJC OBAs6i6tJY>

ფუნდამენტურ გავლენას მოახდენდა სამოსამართლო კორპუსის კეთილსინდისიერების ხარისხზე.